პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 242 (13626)

კვირა, 23 ოქტომბერი, 1966 წ.

ფასი 2 კაპ.

სახელი და დიდება სოფლის მეურნეობის მშრომელებს, რომლებიც ნარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ მინათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტთა ნარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან

მეგობრული ვიზიტი დამთავრდა

21 ოქტომბერს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით საბჭოთა კავშირში მყოფნი:

რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ნ. ჩაუშესკუ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომისა და მუდმივი პრეზიდიუმის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. გ. მაურერი და რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ძალების მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ი. იონიცა;

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი პოლონეთის მარშალი მ. სპიხალსკი;

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. ნოვოტნი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ი. ლენარტი და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი ბ. ლომსკი;

ვნუკოვოს აეროდრომზე სტუმრები გააცილეს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ა. კირილენკომ, ა. ნ. კოსიგინმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, დ. ს. პოლიანსკიმ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ და სხვებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ტ. მარინესკუ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ე. პუჩულკოვსკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ო. პავლოვსკი. (საკდესი).

სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიათა ხელმძღვანელები და მთავრობათა მეთაურები მოსკოვიდან გაემგზავრნენ

იქვნენ რა საბჭოთა კავშირში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით, 22 ოქტომბერს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრნენ:

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი დ. ჯუგოვი;

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. ხონეკერი და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი ჰ. ჰოფმანი;

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჯ. კალლაი და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ლ. ცინეგე, ერთად ჩამოსულნენ საბჭოთა კავშირში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

ვნუკოვოს აეროდრომზე და კიევის ვოგზალში სტუმრები გააცილეს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. ა. კირილენკომ, ა. ნ. კოსიგინმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ა. სუსლოვმა, ა. ნ. შელეპინმა, ნ. ვ. დემიჩევმა, ი. ვ. ანდროპოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ და სხვებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ხ. კარაჯოვი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ხ. ბიტნერი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ი. ხინკა, (საკდესი).

ქებული ვაშლი გორისა

რეპორტაჟი

ვაშლის ბაღიდან, რომელსაც ბოლო არ უჩანს, ტკბილი ნაყოფით დატვირთული კიდევ ერთი მანქანა გამოვიდა, საშუალო ტანის კაცმა უბის წიგნაკში რაღაც ჩაინიშნა. ხის ცარიელი ყუთები იღლიაში ამოიჩარა და ბაღის შუაგულისაკენ წავიდა, ვიცანით, ტყვიავის კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ტერტერაშვილი. იგი ცნობილი მეხილეა. 30 წელია, რაც ბრიგადას ხელმძღვანელობს. ახლახან ლენინის ორდენით დაჯილდოდს.

ბრიგადირმა ხის ყუთები მიწამდე ტოტებდაბარილ ვაშლის ხესთან დააწყო. ჩვენც მივუახლოვდით, მივესალმეთ.

— წელს ხილის მოსავალს გიქებენ. მართლა ასეა? — შევკითხეთ ბრიგადირს.

— მაგაზე მე გიპასუხებთ, — გვიპასუხა ტყვიავის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პიმენ ჩიხლაძემ.—ამ ადგილს „ძველ-ბაღალს“ ვეძახით. უნდა გითხრათ, რომ ბრიგადირი თვითეულ ხეს იცნობს, ეს ბაღი მისი გაშენებული და ნაპატრონებია. ჰექტარზე 50 ცენტნერის ნაცვლად 80 ცენტნერ ხარისხოვან ხილს კრეფს. ამ ბრიგადამ გეგმა უკვე გადაამტა. 115 ტონის ნაცვლად 184 ტონა მოკრიფეს. ასე არ არის, ბრიგადირო?

— ასეა, — ღიმილით თქვა ბრიგადირმა. და დასძინა: — მეტი მინდოდა მომეღო. არც ორგანული სასუქი მომიკლია, არც სუპერფოსფატი, რწყვას ხომ თან გადაგყვები. მაგრამ ეს ხეებიც ჩემსავით მობერნენი. თანაც წელს მსხმოიარობის წელი არ იყო და...

— მანქანა უკვე დავტვირთეთ, — საუბარი შეგვაწყვეტინა შაგგერემანმა ბიჭმა, — შეიძლება წავიდე?

— ამ წუთში წამოვალ. ხომ არ წამობრძანდებით?

— წავიდეთ, ნამდვილი „რთველი“ ზემოთ არის, — გვთხოვა ჩიხლაძემაც.

რამდენიმე წუთის შემდეგ შუაგულ ბაღში შევედით. ირგვლივ ლალისფერი და ქარვისფერი ნაყოფით დახუნძლული ხეები დგას. მეტი მსხმოიარობისგან ტოტები გადუნვიათ. მათ გარშემო ფუსფუსებენ ანრილ ქისიშვილი, გრიგოლ პაპიამშვილი, იაკობ გიგუაშვილი და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი.

— წადი, რაღას უცდი, თორემ რა გაზიდავს ამდენ ხილს. — ღიმილით ეუბნება ფლორა ქანაშვილი მძღოლს თენგიზ გიგუაშვილს და ხის ყუთებთან შაპპაზური რენტით სავსე კალათი მიაქვს.

— მოვასწრებ, ფიქრი ნუ გაქვს, — თენგიზმა მანქანის კაბინის მინები გაწმინდა და გზას გაუდგა.

— შეხედეთ, მხოლოდ პირველი ხარისხია იკრიფება, — გვეუბნება ბრიგადირი, რამდენიმე ვაშლი აიღო, ხელში ატრიალებს და ქმაყოფილი დაჰყურებს თავის ნაოფლარს.

— მოდით მოდით, ბარაქა ნუ მოგვაკლოს, — ბრიგადირი ხილის მკრეფავებს ოლია ხაბაზიშვილს, ვარსენ ქისიაშვილს, სონია ქასაბაშვილს შეეხმიანა. ქალებმა კალათები ყუთებში გადაცალეს და უკანვე გაბრუნდნენ; მათ პირიქით ბიჭი მოაყვათ. გაბრუნებას აპირებდა, შევაჩერეთ, ვინაობა გკითხეთ.

— რისტომ გიგუაშვილი ვარ, — თქვა და დახუნძლული ვაშლის ხეებში გაუჩინარდა.

— მეტად მორცხვი ბიჭია, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე პიმენ ჩიხლაძე — ძალიან კმაყოფილი ვარ მაგის მუშაობით. წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და მაშინვე კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. გამოცდილი კლეტნივით შრომობს, დაუზარელი ყმაწვილია.

საერთოდ ტყვიაველებმა ხილის ჩაბარების გეგმას უკვე საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს. 300 ტონის ნაცვლად მოკრეფილი აქვთ 320 ტონა ხარისხოვანი ხილი.

— სხვა ბრიგადებიც მოვინახულოთ, — შეეთავაზეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

— ხილი მხოლოდ აქ დაგვრჩა მოსაკრეფი. ისე შემიძლია დაგისახელო მოწინავენი. ესენი არიან მესამე ბრიგადის ხელმძღვანელი ენდელ კაპანაძე, მეექვსე ბრიგადის თაგაკი ზოთა მეტრეველი, ბაღების მოვლაში,— დასძინა ჩიხლაძემ, — თავი ისახელეს აგრეთვე მერვე ბრიგადის მშრომელებმა.

დავმშვიდობეთ ტყვიაველ მეხილეებს. სასიამოვნო სანახავია შიდა ქართლის ვენა. აქ მწიფდება ვაშლი ქებული გორისა. ვინ მოთვლის რამდენ საშვიდნოემბრო მაგიდას დაამშვენებს გორის რაიონის მშრომელების მიერ მოყვანილი და მოკრეფილი ლოყაწითელი თუ ქარვისფერი ხილი. მარტო კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კი არა, საკუთარ კარმიდამოში მოყვანილი ხილიც ბევრმა მიიტანა დამზადების პუნქტებში.

მათი გვარები პარტიის რაიკომში დაგვისახელეს. ესენი არიან პავლე გოგინაშვილი, ვალიკო კობალაძე, გიორგი გიგუაშვილი, ბაგრატ მელითაური, ვახტანგ ჩიხლაძე, ისინი ძალიან ბევრნი არიან.

გორის რაიონის მშრომელები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წელს პირნათლად შეასრულონ ხარისხოვანი ხილის დამზადების გეგმა.

რ. ბასილაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათზე: ვაშლის კრეფა გორის რაიონის ტყვიავის კოლმეურნეობის ბაღებში. წინა პლანზე — მოწინავე მკრეფავი ფ. ქანაშვილი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე პ. ჩიხლაძე, ბრიგადირი ა. ტერტერაშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

თელაველთა ახალი გამარჯვება

საუბარი საქართველოს კპ თელავის რაიკომის პირველ მდივანთან ამხ.

ა. ვარდოშვილთან

თელავის რაიონის მეკვინახეებმა ხუთწლედის პირველ წელს თავდადებული შრომით დაძლიეს უამინდობით გამოწვეული სიძნელეები. და დიად თარიღებს— დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ახალი წარმატებანი მიუძღვნეს.

გეგმით სახელმწიფოსათვის 21.950 ტონა ყურძენი უნდა ჩაებარებინათ. 22 ოქტომბრისათვის 28.006 ტონა დამზადეს, რაც ვალდებულებას 1.050 ტონით აღემატება.

ამ წარმატებაში ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ შეიტანა წვლილი.

ყურძნის დამზადების გეგმის შესრულებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს კოლმეურნეებმა და მუშამოსამსახურეებმა, რომლებმაც საკარმიდამო ვენახებიდან 7.176 ტონა ყურძენი მიაყიდეს სახელმწიფოს.

ვალდებულება წარმატებით შესრულდა

საუბარი საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის პირველ მდივანთან ამხ.

გ. კავთიაშვილთან

მცხეთის რაიონის მეკვინახეებმა ამას წინათ წარმატებით შესრულეს ყურძნის დამზადების სახელმწიფო გეგმა. მაშინ მეკვინახეებმა ვალდებულება აიღეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 3.000 ტონა ყურძენი. **ვალდებულებაც წარმატებით შესრულდა. სახელმწიფოს მიეყიდა 3.058 ტონა ყურძენი. ხუთ გეგმით გათვალისწინებული 3.258 ტონის ნაცვლად სამშობლომ მიიღო 6.490 ტონა ყურძენი.**

ყურძნის წარმოებისა და დამზადების საქმეში თავი გამოიჩინა მანქანათა სავამოცდო სადგურის მცხეთის მეკვინახეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი კ. ბუთხუზი), ნაცვლად 1.600 ტონისა მან სახელმწიფოს მიაყიდა 2.750 ტონა ყურძენი, მუხრანის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ბედიანაშვილი) ნაცვლად 160 ტონისა — 390 ტონა, ძალისის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ბეგოიძე) ნაცვლად 120 ტონისა — 340 ტონა, საგურამოს კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ქ. უნდილაშვილი) ნაცვლად 45 ტონისა — 160 ტონა, ქსოვრისის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. აკანაშვილი) ნაცვლად 50 ტონისა 116 ტონა, ნატახტრის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ბ. თავლავაძე) ნაცვლად 122 ტონისა — 245 ტონა.

რთველი გრძელდება. **მცხეთელთა ახალი ვალდებულება სახელმწიფოს დამატებით მიეყიდონ 1.500 ტონა ყურძენი.**

რთველი გრძელდება

საუბარი საქართველოს კპ ამბროლაურის რაიკომის პირველ მდივანთან ამხ.

მ. ბიბილაშვილთან.

მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა, ამბროლაურელმა მეკვინახეებმა, ახალი ხუთწლედის პირველ წელს ყურძნის კარგი მოსავალი მიიღეს. წარმატებით მიმდინარეობს რთველი და ყურძნის დამზადება. **ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.400 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 3.416 ტონა ყურძენი.**

ყურძნის დამზადების გეგმის შესრულებაში ბევრმა საზოგადოებრივმა მეურნეობამ გამოიჩინა თავი. ბიდიკრის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ო. გოცირიძე) ნაცვლად 260 ტონისა სახელმწიფოს მიაყიდა 272 ტონა ყურძენი, სადმელის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ო. მაისურაძე) — ნაცვლად 200 ტონისა 274 ტონა, ბოსტანის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. დარახველიძე) — ნაცვლად 90 ტონისა 105 ტონა, ბუგეულის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. ფოფხაძე) — ნაცვლად 60 ტონისა 72 ტონა, ხვანჭკარის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ტყეშელაშვილი) — ნაცვლად 110 ტონისა 127 ტონა, მეორე ტოლის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. ლომთათიძე) — ნაცვლად 70 ტონისა 79 ტონა, წესის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე რ. ნატმელაძე) — ნაცვლად 140 ტონისა 153 ტონა და სხვ.

რაიონის ვენახებში რთველი წარმატებით გრძელდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ინდოეთში გაემგზავრა

ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 22 ოქტომბერს ომში მეგობრულ ვიზიტად გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი.

(საკდესი).

ფოლადი უწყვეტ ნაკადად

რუსთავი. (საკ. კორ.). ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს ქართველმა მეტალურგებმა. **მარტენის საამქროს ფოლადის უწყვეტად ჩამოსხმის ახალი, უნიკალური დანადგარიდან მათ ჩამოასხეს 200-ტონიანი ნადნობი. ეს საინკორდო მაჩვენებელია საამქროს მეტალურგიაში.**

აღსანიშნავია, რომ ქართველმა მეტალურგებმა რადიკალური კრისტალიზატორით მუშაობა ვადამდე აითვისეს და ახლა სრულყოფენ ფოლადის უწყვეტ ნაკადად ჩამოსხმის რთულ ტექნოლოგიას.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

სსრ კავშირის მრეწველობა 1966 წლის ცხრა თვეში

მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანებს და გააზიარეს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 49 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, ვადამდე შეასრულეს წარმოების საერთო მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის 1966 წლის III კვარტალისა და ცხრა თვის გეგმა. გასულ წლის ცხრა თვესთან შედარებით სამრეწველო პროდუქცია გაიზარდა 8,9 პროცენტით. ეს ნათქვამია სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში სსრ კავშირის მრეწველობის 1966 წლის ცხრა თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ.

მრეწველობის ცალკეული დარგების პროდუქციის წარმოება გაიზარდა: ელექტროენერგიის და თბოენერგიისა — 9 პროცენტით, სათბობი მრეწველობისა — 7 პროცენტით, შავი და ფერადი მეტალურგიისა — 9, ქიმიური მრეწველობისა — 12, მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავებისა — 12, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობისა — 4, სამშენ მასალათა მრეწველობისა — 10, მსუბუქი მრეწველობისა — 9, კვების მრეწველობისა — 4 პროცენტით, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების წარმოება — 12 პროცენტით.

ცხრა თვის გეგმა შესრულა ყველა საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურმა სამრეწველო სამინისტროებმა ხუტყვის, ცელულოზა-ქაღალდის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის. და თვეზის მეურნეობის სამინისტროების გარდა. მრეწველობის საერთო მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოების ცხრა თვის გეგმა შესრულა ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ.

შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე განლაგებული მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობა 1966 წლის ცხრა თვეში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა: რუსეთის სფსრ — 108 პროცენტით, უკრაინის სსრ — 108 პროცენტით, ბელორუსიის სსრ — 114, უზბეკეთის სსრ — 110, ყაზახეთის სსრ — 109, საქართველოს სსრ — 114, აზერბაიჯანის სსრ — 107, ლიტვის სსრ — 112, მოლდავეთის სსრ — 112, ლატვიის სსრ — 111, ყირგიზეთის სსრ — 115, ტაჯიკეთის სსრ — 113, სომხეთის სსრ — 113, თურქმენეთის სსრ — 111, ესტონეთის სსრ — 108 პროცენტით.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში მოყვანილია მოსაცემები ცალკეული სახეობის სამრეწველო პროდუქციის წარმოების შესახებ. 1966 წლის ცხრა თვეში წარმოებულია ელექტროენერგია 369 მილიარდი კილოვატსაათი, მოპოვებულია ნავთობი — 197 მილიონი ტონა, ბაზი — 105 მილიარდი კუბური მეტრი, ქვანახშირი — 439 მილიონი ტონა, რკინის მადანი — 120 მილიონი ტონა; გამოდნობილია თუჯი — 52,4 მილიონი ტონა, ფოლადი — 72 მილიონი ტონა, დამზადებულია ნაგლინი — 56,8 მილიონი ტონა, ფოლადის მილები — 7.338 ათასი ტონა, მინერალური სასუქები — 25,9 მილიონი ტონა, გეოგრაფიკა — 6.840 ათასი ტონა, პლასტიკური მასები და სინთეზური ფისები — 703 ათასი ტონა, ქიმიური ბოჭკოები — 337 ათასი ტონა, ავტომობილებია — 20,6 მილიონი ცალი, ტრაქტორები, რომელთა საერთო სიმძლავრეა 10,5 მილიონი კილოვატი, ტურბინების გენერატორები — 10,4 მილიონი კილოვატი, ლითონსაჭრელი ჩარხი — 142 ათასი ცალი, სამჭედლო-საწნეხი მანქანა — 28,8 ათასი ცალი, მეტალურგიული მოწყობილობა — 192 ათასი ტონა, ქიმიური მოწყობილობა — 306 მილიონი, მანქანური მასალა — 2,6 მილიონი ტონა, ცემენტი — 59 მილიონი ტონა, ასაწყობი რკინაბეტონი — 49 მილიონი კუბური მეტრი, სამშენებლო აგური — 26 მილიარდი ცალი, ბამბის ქსოვილები — 4252 მილიონი კვადრატული მეტრი, შალის ქსოვილები — 376 მილიონი კვადრატული მეტრი, სელის ქსოვილები — 438 მილიონი კვადრატული მეტრი, აბრეშუმის ქსოვილები — 647 მილიონი კვადრატული მეტრი, შეკერილი ნაწარმი — 7,3 მილიარდი მანეთისა, ტყავის ფეხსაცმელი — 386 მილიონი წყვილი, ხორცი (ნედლეულის სახელმწიფო რესურსებიდან) — 3,7 მილიონი ტონა, მოპოვებულია თევზი და ზღვის პროდუქტი — 4,6 მილიონი ტონა, წარმოებულია ერბო-კარაქი, ყველი და რძის სხვა პროდუქტები რძეზე გადაანგარიშებით (კოლმეურნეობების წარმოებისა და მოსახლეობის მინ წარმოების გარდა) — 33 მილიონი ტონა, კონსერვი — 5,5 მილიარდი ქილა, საათი — 24,1 მილიონი ცალი, რადიომიმღები და რადიოლა — 4,1 მილიონი ცალი, ტელევიზორი — 3,3 მილიონი ცალი, მაცივარი — 1589 ათასი ცალი, სარეცხი მანქანა — 2854 ათასი ცალი, ავეჯი — 1468 მილიონი მანეთისა.

შემდეგ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში აღნიშნულია, რომ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 5 პროცენტით; ცხრა თვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად ზეგეგმითმა ეკონომიამ შეადგინა დაახლოებით 400 მილიონი მანეთი. 1965 წლის ცხრა თვესთან შედარებით მრეწველობის მოგება გაიზარდა 10 პროცენტით. სახალხო მეურნეობაში დაინერგა ორ მილიონზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება.

ამასთანავე მრეწველობის მუშაობაში არის ნაკლოვანებანი. მაგალითად ვერ შესრულდა ქიმიური და საგლინავი მოწყობილობის, ელმავლების, მოტსტაკერი მასებისა და სინთეზური ფისების, სამშენებლო აგურის წარმოების, სამასალე მერქნის გამოზიდვის, თევზჭერის, რადიომიმღებებისა და რადიოლების, მაცივრებისა და ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების ცხრა თვის გეგმა.

დასასრულ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში ნათქვამია, რომ გრძელდებოდა სამრეწველო საწარმოთა გადაყვანა ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. საწარმოებმა, რომლებიც ახალ პირობებში მუშაობენ, ჯადოსნურებში შესრულეს გადიდებული გეგმები და გასული წლის ცხრა თვესთან შედარებით გაზარდეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა 11 და მეტი პროცენტით, მოგება 20 და მეტი პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 8 პროცენტით. (საკდესი).

სამკერდე ნიშანი „უავარიოდ მუშაობისათვის“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ დააარსეს სამკერდე ნიშანი „უავარიოდ მუშაობისათვის“. ამ ნიშნით დაჯილდოვდებიან შოფრები, რომელნიც დიდხანს შრომის დისციპლინისა და ქეჩის მოძრაობის წესების დაუოლველად მუშაობენ და არა აქვთ საგზაო-სატრანსპორტო ავარიის არც ერთი შემთხვევა.

დამტკიცებულია სამი ხარისხის სამკერდე ნიშანი „უავარიოდ მუშაობისათვის“: პირველი ხარისხის სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდებიან შოფრები, რომლებმაც ავტომობილით გაიარეს 500 ათასზე მეტი კილომეტრი, მეორე ხარისხის ნიშნით დაჯილდოვდებიან შოფრები, რომლებმაც გაიარეს 300 ათასზე მეტი კილომეტრი, მესამე ხარისხის ნიშნით დაჯილდოვდებიან შოფრები, რომლებმაც გაიარეს 200 ათასზე მეტი კილომეტრი.

სამკერდე ნიშნებით დაჯილდოვდებიან შოფრები, რომელთაც ავტომობილები მუდამ ჩახებულ ტექნიკურ მდგომარეობაში აყავთ, ემსახურებიან კლიენტებს კულტურულად, სრულებენ სახელმწიფო გეგმებს და განუწყვეტელ მუშაობენ ავტომეურნეობებში „უავარიოდ“ სამი წლის მანძილზე“.

პირველი ხარისხის ნიშნით დაჯილდოებულნი სამკერდე ნიშანთან ერთად მიიღებენ სამინისტროს, უწყებისა და შესაბამისი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ბატიტონ სიგელს.

მეორე და მესამე ხარისხის ნიშნით დაჯილდოებულნი ამასთანავე მიიღებენ ავტომეურნეობის, საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული ორგანიზაციის სპეციალურ სიგელს. დაჯილდოებულთ ეძლევათ აგრეთვე მოწმობა.

ნიშნით „უავარიოდ მუშაობისათვის“ დაჯილდოებულთ უფლება აქვთ თვითონ ამოწმებდნენ ხაზზე გასვლის დროს თავიანთი ავტომობილის ტექნიკურ მდგომარეობას, პირველი ხარისხის ნიშნით დაჯილდოებულთ კი დამატებით ეძლევათ დასასვენებელი სახლის ფასით სანატორიუმი.

ნიშნით „უავარიოდ მუშაობისათვის“ დაჯილდოებული ავტომეურნეობის, საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული ორგანიზაციის სპეციალური სიგელ. დაჯილდოებულთ ეძლევათ აგრეთვე მოწმობა.

ნიშნებს, სპეციალურ სიგელებსა და დაჯილდოების მოწმობებს ავტომეურნეობის კოლეგიების საერთო კრებაზე გადასცემენ სამინისტროს კოლეგიასა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები.

ნიშნით „უავარიოდ მუშაობისათვის“ დაჯილდოებულთ შეიძლება ჩამოერთვათ ნიშანი მისი გამცემი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, თუ შოფერს მოუვიდა საგზაო-სატრანსპორტო ავარია, დაარღვია შრომის დისციპლინა და ქეჩაში მოძრაობის წესები. (საკდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ დააარსეს სამკერდე ნიშანი „უავარიოდ მუშაობისათვის“.

სამკერდე ნიშანი „უავარიოდ მუშაობისათვის“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ბრძანება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ ბრძანეს:

1. დაარსებულ იქნეს სამკერდე ნიშანი „უავარიოდ მუშაობისათვის“.

2. ამ ნიშნით დაჯილდოვდებიან შოფრები, რომელნიც დიდხანს შრომის დისციპლინისა და ქეჩის მოძრაობის წესების დაუოლველად მუშაობენ და არა აქვთ საგზაო-სატრანსპორტო ავარიის არც ერთი შემთხვევა.

3. დამტკიცებულია სამი ხარისხის სამკერდე ნიშანი „უავარიოდ მუშაობისათვის“: პირველი ხარისხის სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდებიან შოფრები, რომლებმაც ავტომობილით გაიარეს 500 ათასზე მეტი კილომეტრი, მეორე ხარისხის ნიშნით დაჯილდოვდებიან შოფრები, რომლებმაც გაიარეს 300 ათასზე მეტი კილომეტრი, მესამე ხარისხის ნიშნით დაჯილდოვდებიან შოფრები, რომლებმაც გაიარეს 200 ათასზე მეტი კილომეტრი.

4. ნიშანი ეცემა: ...

ᲕᲐᲠᲪᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝ-ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲖᲔ •

ᲒᲭᲝᲒᲔᲜ ᲗᲔᲚᲔᲗᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ დედაქალაქის მაღაზიებსა და საკულმეურნეო ბაზრებში უხვად არის თელეთური ბოსტნეული. რა გინდა, რომ არ ხარობდეს თელეთის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის თვალუწვდენელ ნოყიერ, ბარაქიან მინდვრებსა და ბაღ-ბოსტნებში!

აქაური გამრჯე მუშაკები მხოლოდ ერთი ფიქრითა და გრძნობით მოღვაწეობენ: დაამავენონ ბარაქა, უხვად მიწოდონ დედაქალაქს, მშრომელის სუფრას ბოსტნეული, რძე, ხორცი.

— სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში, — განაცხადა პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე პარტკომის მდივანმა რ. ჯაველიძემ, — თელეთის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს შესანიშნავი წარმატებები აქვს მოპოვებული. მტად ჭირვეული იყო მიმდინარე წელი. პაპანაქება სიცხემ, გვალვამ შემოგვიტია, მაგრამ კომუნისტებმა, მუშებმა, სპეციალისტებმა სიბეჯითემ, ტექნიკის გონივრულად გამოყენებამ, შრომაში მოწინავეთა გამოცდილების დანერგვამ კარგი ნაყოფი გამოიღო.

გამართული პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა წარმატების წყაროა. წამყვან საწარმოო უბნებზე, იქ, სადაც სიძნელეებია, კომუნისტები მოღვაწეობენ, ისინი პირადი მაგალითის ძალით რაზმავენ თანამოსაქმეებს. გასულ წელს მეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 13.210 ცენტნერი რძე, 940 ცენტნერით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. გადაჭარბებით შესრულდა ხორცის, ბოსტნეულის, კარტოფილის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმებიც.

მარცვლეულის, ბოსტნეულის, კარტოფილის, რძის რეალიზაციით მიღებულ იქნა 76.466 მანეთი მოგება. აქედან პირველად საბჭოთა მეურნეობის არსებობის მანძილზე 6.288 მანეთი მოგება მიღებულია მერძევეობიდან.

მიღწევებით როდი დაამყაყოფილდნენ. მეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა წელს წინა პლანზე წამოსწია მეცხოველეობის აღმავლობის საკითხები. აქ მტკიცედ დაინერგა შრომის ანაზღაურების პრემიალური სისტემა.

საკმარისია ითქვას, რომ ამჟამად მეურნეობა ყოველდღიურად იმდენ რძეს იძლევა, რამდენსაც წინათ ყოველწლიურად აწარმოებდნენ ის კოლმეურნეობები, რომელთა ბაზაზე ეს საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა. მიმდინარე წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული 12.020 ცენტნერის ნაცვლად წარმოებულია 12.970 ცენტნერი რძე, ხოლო ამავე პერიოდში სახელმწიფოსათვის ჩაბარებულია ნაცვლად 10.690 ცენტნერისა 11.178 ცენტნერი რძე. დღეისათვის ეს ციფრი შვიდასი ცენტნერით გაიზარდა. თელეთელ მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წელს გეგმის ზევით მიჰყიდონ სახელმწიფოს 1.200 ცენტნერი რძე, ხოლო რეალიზაციის გაფართოებით, დანახარჯების შემცირებით მეცხოველეობაში სამეურნეო წელი რენტაბელურად დაამთავრონ.

კომუნისტის მაგალითის ძალა ამ საქმეშიც მისაბაძია. რძის წარმოების გადიდებისათვის ბრძოლაში კარგი შრომის მაგალითებს იძლევიან კომუნისტი ბრიგადირები და სპეციალისტები გ. გოგინაშვილი, გ. ძებნიაური, ხ. თვალჭრელიძე... ვინ ჩამოთვლის მათ, ისინი აქ მრავალნი არიან.

პარტიულ კრებაზე, შესვენებისას ერთმა ხანდაზმულმა კომუნისტმა თქვა:

— ჩვენი მწველავის ნელი ქაჯაიას მიერ წელს მოწველილ რძეს, ალბათ, ჩემი ძველი ურმით ფერმიდან სამ თვეშიც ვერ გადაზიდავდი.

კომუნისტი მწველავი ნ. ქაჯაია ოცდაათ წელზე მეტია, რაც ფერმაში მუშაობს. ჯერ არ ყოფილა ისეთი თვე, წელიწადი, რომ მას გეგმა გადაჭარბებით არ შეესრულებინოს. მისი სიტყვა და საქმე ყოველთვის განუყოფელია. ამიტომაც მას აქ სიტყვაგაუტეხელ ქალს ეძახიან.

წელს ცხრა თვეში მან 28 ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული 358 ცენტნერის ნაცვლად 456 ცენტნერი რძე მიიღო. ამ მოწინავე კომუნისტს კვალდაკვალ მიჰყვებიან მეურნეობის წარჩინებული მწველავები ლ. მაისურაძე, გ. მახნიაშვილი, ი. სულთანიშვილი, პ. მახნიაშვილი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, პარტიული ორგანიზაციის წინასაანგარიშო კრებაზე მკაცრად იქნა გაკრიტიკებული მეცხვარეობის დარგში არსებული ნაკლოვანებანი. ამ დარგს კომუნისტი ნ. გახარია ხელმძღვანელობს. პირუთვნელმა კრიტიკამ, პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიურმა დახმარებამ საჭირო ნაყოფი გამოიღო: მიმდინარე წელს 110 პროცენტით შესრულდა სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების გეგმა.

მომხსენებელმა და სიტყვით გამოსულმა კომუნისტებმა ს. თვალჭრელიძემ, ბ. მუმლაძემ აღნიშნეს, რომ მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული აუარაკლები რეზერვები, ყველა ბრიგადა თანაბრად არ იბრძვის საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის.

პარტიული ხელმძღვანელობისა და საჭირო დახმარების შესუსტებით აიხსნება ის ფაქტი, რომ გასულ წლებში მოწინავე მწველავთა ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი რ. ოგანეზოვი ხელმძღვანელობს, ჩამორჩა, ვერ ასრულებს რძის წარმოების გეგმას, ურიგდება პირუტყვის დაცემის ფაქტებს.

აღინიშნა, რომ ზოგჯერ საკვები რესურსების სიმცირის გამო შემოდგომა-ზამთრის პერიოდში რძის ყოველდღიური წველადობის დონე მკვეთრად კლებულობს. პარტიულმა კომიტეტმა, მეურნეობის დირექციამ, სპეციალისტებმა ამჟამად მარჯვედ მოკიდეს ხელი ნათესების კულტურის მკვეთრ შეცვლას. მუშაობენ იმ ვარაუდით, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში ნათესმა ბალახმა მთელი ფართობის 40 პროცენტი დაიკავოს. გადაიდგა პირველი ნაბიჯები, დაითესა 600 ჰექტარი ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახები.

მეურნეობის კომუნისტები მთელი ენერგიით იბრძვიან, რათა წარმატებით შესრულონ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საბრძოლო დავალება: **ᲒᲐᲓᲐᲐᲥᲪᲘᲝᲜ ᲗᲔᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲫᲔᲕᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲐᲚᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲙᲝᲛᲞᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲫᲘᲗ, ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲗ, ᲮᲘᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲔᲑᲘᲗ.**

განა საამაყო არ არის, რომ მეურნეობიდან ჩვენს დედაქალაქში ყოველდღიურად იგზავნება 12-15 ტონა ბოსტნეული. წელს დღემდე ცხრაასი ცენტნერი ბოსტნეული მიაწოდეს თელეთელებმა მოახმარებელს.

კომუნისტი გ. ხახვიაშვილი ოც წელზე მეტია ბაღჩა-ბოსტნებს ეახასურება და ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს. ამას წინათ მებოსტნეობის დარგში ნაყოფიერი საქმიანობისათვის გ. ხახვიაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელით დაჯილდოვა.

მაგრამ, როგორც თვით გ. ხახვიაშვილმა გულისტკივილით აღნიშნა, მებოსტნეობის განვითარების საქმეში ჯერ კიდევ მრავალი ნაკლია. ნაკლებად არის გამოყენებული მექანიზაცია, ბოსტნები ხშირად არ იწმინდება სარეველა ბალახებისგან. ხათანადო ყურადღება არ ექცევა გარდამავალი ბოსტნეულის წარმოებას. მებოსტნეებმა ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს კომბოსტოს წარმოება, რაზეც აღრე გაზაფხულზე დიდი მოთხოვნილებაა.

კომუნისტებმა მოურიდებლად ამხილეს ნაკლოვანებანი მევენახეობის, მარცვლეული კულტურების წარმოების დარგში. აღნიშნეს მისი გამომჭვე

კვლავ მოსკოვში

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ახალი გასტროლების გამო

◆

ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲘ თეატრის ცხოვრებაში უსათუოდ კანონზომიერი, აუცილებელი უნდა იყოს. გასტროლებზე წასვლა ნიშნავს ახალ მაყურებელთან შეხვედრას, თეატრის ნამუშევრის სახლიდან გარეთ გატანას. ამიტომაც გასტროლებშინ არის სასურველი და შედეგიანი, თუ კი კოლექტივმა შემოქმედებითად ოიაზოვა რაღაც ისეთი, რაც გამოავლენს ის მხატვრულ დონეს, მოქალაქეობრივ და შემოქმედებით მისწრაფებებს. ბოლდინარე წლის ნოემბერში, რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით, კრემლის თეატრმა სტუმრად მიიწვია ქართული თეატრი, რომელიც გენიოსი იუბილარის სახელს ატარებს. ამ ვითარებამ, რა თქმა უნდა, გარკვეულად განაპირობა წასალებად გათვალისწინებულ წარმოებათა შერჩევაც.

მიგვაქვს 8 წარმოდგენა. გასტროლები დაიწყება 30 ნოემბერს „ᲛᲔᲡᲘᲮᲘᲡ ᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ საიუბილეო წარმოდგენით, რომელიც თეატრმა დიდი პოეტის დაბადების 800 წლის აღსანიშნავ დღესასწაულს მიუძღვნა (ლიტერატურულ-დრამატული კომპოზიცია რ. ებრალიძისა, დადგმა ა. ჩხარტიშვილის და მ. თუმანიშვილისა, მხატვარი ოთ. ლითანიშვილი, კომპოზიტორი ა. ჩიმაკაძე). როგორც ცნობილია, ეს არის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სცენური ხორცშესხმა. კომპოზიციაში დაცულია პოემის ძირითადი ქმედითი ხაზი. სპექტაკლი, რომელშიც მთელი დასი მონაწილეობს, არის თავისებური ხოტბა, ჰიმნი იმისადმი, რასაც უმღერდა ჯერ კიდევ 8 საუკუნის წინათ დიდი მგოსანი და მოაზროვნე — იგი უმღერდა სიბრძნეს, სიმამაცეს, მეგობრობას, სიყვარულს, ბოროტის სიკეთით ძლევას.

შექსპირის „ᲛᲔᲤᲔ ᲚᲘᲠᲘ“, რომლის შესახებ უკვე ბევრი სინტერესო რამ აუწყა რუსულმა პრესამ თავის მკითხველს. მეფე ლირის როლში მოსკოვის მაყურებელი იხილავს ჩვენს სახელოვან მსახიობს სერგო ზაქარიაძეს, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინათ მსოფლიო აღიარება მოუპოვა ქართველი მსახიობის ხელოვნებას, (ტრაგედიის თარგმანი ვ. ჰელიმანს, დადგმა მ. თუმანიშვილის, მხატვარი ნ. იგნატოვი, კომპოზიტორი ო. თაქთაქიშვილი).

